საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 9 მარტი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 3 მანეთი

ფასი ერთი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომრისა 3 მანეთი. განცხადების ფასი ხაზზე [illegible] სტრიქონი 5 მანეთი. [illegible] 4 მან. [illegible] განცხადება [illegible] 15X2 სტრიქონი [illegible] 100 მანეთი. ხელნაწერი განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, [illegible] ქუჩის მე-18-თან. ტელეფონი 16—62

№ 55 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებ სა № 55

გენერალური საკონცერტო ბიურო ამიერ-კავკასიაში დ. სვერშნიკოვისა

კონსერვატორიის დარბაზი | ოთხშაბათს 10 მარტს | 1920 წლის სეზონი

## იტალიური ქველმოქმედური მუსიკა

დიდი კონცერტი, იტალიელ მუსიკოსების მხლებურ ნაწარმოებებიდან. კონცერტი იმართება იტალიის სამხედრო და ეკონომიური მისიის ინიციატივით

გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა და კონსერვატორიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

მონაწილეობენ: ვოლ-ლევიცკისა, ზეინგერი, ლედნიკი, ჩერეპნინი, ვიგოდსკი და სხვ. როიალთან ნ. ა. გრიქუროვისა. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. ბილეთები ამ თავიდანვე იყიდება ბიუროს კანტორაში—მუსიკალურ მაღაზია კერერისა, რუსთაველის პროსპექტი № 8, დილის 10—2 ნახ. საათამდე. (ნ. 1—1)

თავზარდაცემული შვილები: დარიკო, შალვა, გოგოლა (ნინო) ვალერიან და მიშა, სიძე მიხეილ ხერხეულიძე, დები ტერეზი და მარინე, ძმა კირილე, დის შვილები: პელაგეა, თებრონე, ნინო და ვასასი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

გრიგოლ სპირიდონის ძე ღლონტის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. მელექედურში ხუთშაბათს 11 მარტს წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში. (900 2—1)

გულმოკლული დედა მატრონე და ძმები: ტიტიკო და ილიკო ჯუჯაბიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 9 მარტს (ახ. სტ.) დ. სუფსაში ღვთის მშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარი

პლატონის

სულის მოსახსენებლად, რომელიც გმირულად დაეცა გასულ წელს ეკატერინოფელდის ბრძოლაში (კრკ. 222—1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები დარია გიორგის ასული და ალექსანდრე ხახულის ძე, ძმა ლევი, მამიდა მარიამ და ბიძა იოსებ (სოსანა) აბაშიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 10 მარტს, ვერაზე, ნიკოლოოზის ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი შვილის

მიშას

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 1 საათზე. (207—1—1)

გამოვიდა და იყიდება

განის ახალი წიგნი

რა უნდა იცოდეს ყველამ

(კითხვა-პასუხი კონსტიტუციური კითხვებზე)

წიგნი ღირს ექვსი მანეთი. გამოწერა შეიძლება „ერთობის" რედაქციიდან. (—0—3)

გამგეობა ჭიათურა-საჩხერის კოოპერატივთა კავშირისა იწვევს 3 აპრილს ამა 1920 წ. ჭიათურის თეატრში, დილის 10 საათზე

რწმუნებულთა წლიურ ყრილობას

სადაც გაირჩევა შემდეგი კითხვები:

1) მოხსენება გამგეობისა, საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა.
2) განხილვა და დამტკიცება 1919 წლის ანგარიშისა.
3) მიმდინარე წლის მუშაობის გეგმა.
4) 1920 წლის ხარჯთ აღრიცხვა.
5) მიმდინარე საკითხები.
6) არჩევნები: ერთი გამგეობის წევრისა, საბჭოს, სარევიზიო კომისიის და მათი კანდიდატების

იმ მოკავშირე კოოპერატივებს, რომელთაც სურთ შემოიტანონ კითხვები გასარჩევად რწმუნებულთა ყრილობაზე წინდაწინ უნდა შემოიტანონ წერილობით გამგეობაში ოცდა ხუთ მარტამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ დაისმებიან ყრილობაზე განსახილველად. გამგეობა. (894—0—1)

პირველი ქართული კინო-დრამა გადაღებული ქ. თფილისში შესრულებული ადგილობრივი მსახიობების მიერ

კინემო „მინიონი" მ/წ მარტის 7, 8, 9 და 10-ში

ქრისტინე

კინო-დრამა 4 მოქმედებათ ეხ. ნინოშვილის რომანიდან გადმოღებული. გამოცემა გ. გოგიტიძისა. დადგმა და ინსცენიროვკა რეჟისორ ალ. წუწუნავასი.

დაწვრილებით იხილეთ განცხადებებში და აფიშებში (884—3—2)

სამშაბათს, 9 მარტს კონსერვატორიაში (გრიბოედოვის ქუჩა) ქართვ. ქალთა საზ. მართავს ლექციას

ქალი და კოოპერაცია

წაიკითხავს ლექციას პავლე დადვაძე. (891—0—1)

საჭიროა მუშები

ყარაიაზის სახაზინო მამულის მეორე განყოფილებაში სარწყავი არხების გასაყვანათ.

მსურველთ შეუძლიათ პირობებს გაეცნან სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სასოფლო სამეურნეო განყოფილებაში. 9—2 საათამდე. (896—1—1)

ექიმი ბ. ი. იქრომშარაძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რუსთველის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—ი.)

## ბათუმი

უკანასკნელ დღეებში საკითხი ბათუმის შესახებ მეტად მწვავე საკითხათ გადაიქცა. ქვეყანაზე თუ რამე იყო ცხადი, ეს ბათუმის ბედი უნდა ყოფილიყო. ისტორიულად საქართველოს ნაწილი, ქართველებით დასახლებული საქართველოს ზღვის მოზიარე, იგი დღესაც უნდა ამ პატარა რესპუბლიკას დარჩენოდა.

მაგრამ ენას ძვალი არა აქვს და კაცის გულის სიხარბეს—საზღვარი. ბათუმსაც გამოუჩნდა მეტოქე, რომელიც მის დასაკუთრებას ცდილობს. იგი, როგორც ზღვის ბოლოში და კარი ევროპისაკენ დიდათ მიმზიდველი შეიქნა ყველა მეზობლებისა და არა-მეზობლებისთვის. დენიკინი, სანამ მას სული ედგა და იარაღის ძლიერი შეეძლო, ბათუმს თავისად სთვლიდა, ვითომც წმინდა რუსული ქალაქი ყოფილიყოს. ბოლშევიკები, რომელნიც ჩვენში განსაკუთრებით შავ-ყორნების როლს ასრულებენ, ბათუმს თავის საგანეთ სთვლიან და მოკავშირე ენტენტ-ფაშებს სთავაზობენ, როგორც ბრესტში აღთქმულ საჩუქარს. აღერბეიჯანი ბაქოდან უპოტუნებს მას ხელს ყველს თავზე და გარეშე პატრონს ეძებს, რომელიც ამ პორტს მას ასარგებლებს. სომხეთიც აქეთ ეძებს გასავალს ზღვისაკენ. ერი, ისტორია, ენა, ტრადიცია, საარსებო ინტერესები ჩვენი რესპუბლიკის, ყველას მცირე მნიშვნელოვან ფაქტორათ მიუჩნევია, ხოლო თავის განდიდების, თუ გამდიდრების ინტერესები პირველ ხარისხოვან საზღვარად. ოსმალეთიც თავის ბრჭყალებს გზავნის ბათუმისკენ. ანტანტაც თავის მხრივ რას ფიქრობს, არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ დღემდე მათი რწმუნებით, თუ თავის სურვილით ქუჩოლისი თავის მცირე რაზმით დგას ამ ქალაქში და მთელ ოლქის პატრონობას სიტყვით მაინც კისრულობს.

გაუგებარია და წარმოუდგენელი ის პოლიტიკა, რომელიც ბათუმში ტრიალებს და რომელიც მხოლოდ იმის ცდაშია, რომ ბათუმი საქართველოს სხეულს საბოლოოთ მოსწყვიტოს. აქ ყველა პოულობს ხელის შეწყობას—ოსმალეთის ფაშებიც, აღერბეიჯანის აგენტებიც და ბოლშევიკების ავანტიურისტებიც. ყველა, ვინც კი აქტიურათ მოქმედებს ამ ოლქსა და ქალაქში საქართველოს წინააღმდეგ, ყველა ვინც ბათუმის საკითხს უკუღმართად აყენებს და მას კონფლიქტების ბუდეთ ხდის—იგი აქ თუ მფარველობას არა ყოველშემთხვევაში დაბრკოლებას არ ხვდება...

დაბრკოლება ხვდება მხოლოდ საქართველოს. ვერ გაგვიგია, ვისთვის რისთვის არის საჭირო ასეთი პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ უტეხს სახელს აქ ინგლისს და მოკავშირეებს, რომელნიც ქმნიან აქ შფოთსა და წინააღმდეგობას, ნაცვლად ზავისა და მორიგებისა, რომელიც უიმედო იმედებს უძრავს მოსულთ და გულს უკლავს მახლობელთ ბათუმისას...

და ჩვენ გვგონია რომ დღეს, როცა საერთაშორისო მასშტაბში წყდება საკითხი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების, როცა მათი საზღვრების საბოლოოთ გამიჯვნა უნდა მოხდეს, ბათუმის საკითხის ასეთ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელია.

საქართველოს არ შეუძლია ეკონომიურათ აღორძინება, თუ ის ბათუმს მოწყვეტილი იქნა. საქართველოს რესპუბლიკა ვერ შეურიგდება იმ აზრს, რომ მისი სხეულის საუკეთესო ნაწილი ჩამოსჭრან, ერთ ორათ გაჰკვეთონ, მაშინ, როდესაც ერთა სუვერენობის აღდგენა და გამთელება საერთაშორისო ლოზუნგათ არის გადაქცეული.

საქართველოს მუშათა კლასი ვერ შეურიგდება ისეთ მდგომარეობას, სადაც მისი განმსთავისუფლებელი მოძრაობის ერთი მთავარი აკვანთაგანი—ბათუმი, მისი სისხლით მორწყული ბარცხანით—გახდეს დამპყრობელ შაობათ ბოლშევიკთა და ოსმალთა მოთარეში ბლოკისა.

ბათუმი ყოველმხრივ მასაზრდოებელია საქართველოს სახოგადოებრივობის. იგი ძუძუს მაწოვებელია ჩვენი მუშათა კლასის—იგი გზა და ხიდია ევროპისა, იგი ჩვენი კარია და ბჭე, რომელისგან ველით ევროპიულ განვითარებას და ოსმალეთის ურდოთაგან დახსნას.

ბათუმის მოწყვეტა იქნებოდა დაობლება ჩვენი დემოკრატიის—სასიკვდილოთ დაჭრა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის, რომელსაც სათავეში მშრომელთა მარჯვენა უდგია. ეს იქნებოდა უდიდესი და უსაშინელესი ისტორიული მოვლენა, რომლის ჩ დენა წარუხოცელ ლაქათ მოედება ყველას, ვინც ხელს მოაწერს და მონაწილე გახდება ბათუმის ჩამოშორების.

ბათუმი და საქართველო ერთი სხეულია, განუყოფელი. ასე ფიქრობს და გრძნობს მთელი თავისი არსებით საქართველოს დემოკრატია, მისი მთავრობა და მისი მუშათა კლასი. და ერთსულოვანი აზრი და მოთხოვნა რესპუბლიკის ყველა წრეებისა უნდა განხორციელდეს. ამასვე საქვეყნოთ მოითხოვს მთელი ბათუმ-აჭარის ხალხიც.— ბათუმი, რომელმაც საქართველოს მომხრენი აირჩია ქალაქის თვითმართველობაში, საქართველოს დროშის ქვეშ უნდა დადგეს.

ეს ერთად ერთი გზაა სამართლიანობის, მშვიდობიანობის და სწორი პოლიტიკის. და ეს ასე უნდა განხორციელდეს.

## როგორ დავეხმარეთ გორელებს

ჩვენმა თანამშრომელმა მთავრობის მთავარ კომიტეტიდან შემდეგი ცნობები მიიღო:

ქართლის ტრაგედიას ხალხი დიდის თანაგრძნობით და მწუხარებით ეგებება და არ ერიდება ნივთიერ მსხვერპლს დაზარალებულ მოძმეთა დანგრეული კერიმიდამოს აღსადგენათ.

მიწის ძვრის შესახებ პირველ ცნობას დიდა ქალაქში მოჰყვა სწრაფი დადგენილება მთავრობისა „მთავრობის საგანგებო კომიტეტის" დაარსების შესახებ. ამ კომიტეტმა იმავე დღეს მიიღო ყოველივე ზომები დაზარალებულთა მწარე ხვედრის შესამსუბუქებლათ და ნაწილობრივ კიდევაც მიაღწია მიზანს.

21 თებერვალს დაარსდა მთავრობის საგანგებო კომიტეტი, რომელმაც იმავე დღეს დანიშნა გორისათვის თავისი წარმომადგენელი და დაავალა მას დაზარალებულებისათვის სასწრაფო დახმარების აღმოჩენა. მეორე დღეს, ე. ი. 22 თებერვალს, დილით, გორში ჩავიდა ქართული წითელი ჯვრის მატარებელი საგანგებო კომიტეტის და მისი თანამშრომლების თანხლებით. მატარებელმა ჩაიტანა გორში მრავალი სანოვაგე. ჩაიყვანა საექიმო და სასანიტარო პერსონალი, რომელიც შესდგებოდა უმთავრესად წითელი ჯვრის თანამშრომლებისაგან, 10 საკვები პუნქტის მოწყობა მისი პერსონალით, „პალატკები", თბილი ტანსაცმლები და სხვა. ამ მატარებლის სანოვაგით დატვირთვაში მონაწილეობა მიიღო გვარდიის მთავარმა შტაბმა, რომელმაც გაგზავნა ფრონტისათვის დამზადებული პური, რკინის გზის სასურსათო კომიტეტმა, მომარაგების სამინისტრომ, წითელმა ჯვარმა, მომარაგების კომიტეტმა და კოოპერატივთა კავშირმა.

სადგურ ქარელში დარჩა ერთი რაზმი საჭირო მასალებით და სანოვაგით. ამათ დაევალათ ახლოს მდებარე სოფლების მდგომარეობის გამოკვლევა, საპირველსთანავე დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენა და მცხოვრებთა მდგომარეობის შესახებ სასწრაფო ცნობების გადაცემა გორში რწმუნებულისათვის.

ქალაქში და ზოგიერთ სოფლებში განადგურებული მცხოვრებნი სანოვაგეს ვერ შოულობენ, რადგან სახლებში შესვლა შეუძლებელი იყო. ხალხი ქუჩაში იყო. სახლებს ახლოსაც ვერ ეკარებოდნენ. საგანგებო კომიტეტის რწმუნებულმა ერთი საათის განმავლობაში ქალაქის სხვა და სხვა უბნებში გახსნა ხუთი საკვები ადგილი, სადაც მცხოვრებთ ეძლეოდათ ჩაი, შაქარი და პური. ამ შემთხვევაში, დაკანონებულ ულუფის ნორმით ხელმძღვანელობა შეუძლებელი იყო და დაზარალებულებს ეძლეოდათ იმდენი, რამდენის ჭამა შეეძლოთ. ამავე დროს ახლო სოფლებში გაიგზავნა თანამშრომლები, რომლებმაც იქ მიაწოდეს ხალხს ასეთივე დახმარება. საკვები პუნქტები მოეწყო შემდეგ სოფლებში: ხიდისთავში, უფლისციხეში, ბეთლემში, სკრაში, გორისჯვარში, ოზერაში, კოშკში და სასირეთში.

დამით მიწის ძვრის დროს, 19 თებერვალს, ნანგრევებში მოჰყვა და დაიღუპა 10 კაცი. შეშინებული ხალხი ქუჩაში გამოიქცა, ახალ უბედურობის მოლოდინში, სახლებში არავინ არ შედიოდა და სწორეთ ასეთ დროს განმეორდა მიწის ძვრა მეორე დღეს, შუადღისას, როდესაც ქალაქი სულ მთლად დაინგრა, სწორეთ ამით აიხსნება ამ დიდ უბედურებისაგან შედარებით ასეთი მცირედი მსხვერპლი. ხალხი მიწის ძვრის განმეორების დროს სახლებში რომ ყოფილიყო, მსხვერპლთა რიცხვი დიდი იქნებოდა. ცოტა აღმოჩნდა აგრეთვე დაშავებულიც. ამიტომ საექიმო ნაწილის მოწყობა საჭირო დარჩა, ხოლო საერთო ავათმყოფთა მისაღებად. საგანგებო კომიტეტის რწმუნებული განკარგულებაში იყო 20 ექიმი, ფერშლები და სანიტრები 50 და სხვა მოსამსახურენი. ამ პერსონალიდან შესდგა 10 სანიტარული რაზმი. სოფლებში გაგზავნეს ექიმები და მათი თანამშრომლები და მათ დაევალათ ხალხისთვის საჩქარო დახმარების აღმოჩენა (მსხვერპლთა რიცხვი სოფლებში ჯერ კიდევ გამოურკვეველი იყო) მძიმე ავადმყოფები გორში უნდა გადმოეგზავნათ. სადაც იდგა მათ მისაღებათ და ქალაქში გადასაყვანათ წითელი ჯვრის მატარებელი.

მალე გამოირკვა, რომ მძიმე ავათმყოფთა რიცხვი ცოტა იყო. ისინი გადაიგზავნა თფილისში. ექიმების სიტყვით, მიწის ძვრამ საშინლათ იმოქმედა დედებზე და მშობიარეთა რიცხვი ბევრი აღმოჩნდა. საექიმო საქმე მეტად გაადვილდა წითელი ჯვრის მატარებლის დახმარებით, რადგან ის კარგათ არის მოწყობილი და პერსონალიც ბეჯითი და ენერგიული ემსახურება. ერთნაირი ხელის შემშლელ გარემოებათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ სიჩქარის გამო არ აღმოჩნდა წამოღებული საკმაო წამალი და მედიკამენტები, მაგრამ ეს მასალები დამატებით იქნა მიღებული და ეხლა ამ მხრივ არავითარი დაბრკოლება არ არსებობს. ყველაფერი მოწყობილია, რიგზეა დაყენებული და ეს ხელს უწყობს დაზარალებულთა გამხნევებას.

დაისვა საკითხი წესრიგის შესახებ. მართალია, მტაცებლობას და საერთოდ დიდ ბოროტებას არ ჰქონია ადგილი, მაგრამ ეს საკითხი მაინც უნდა მოწესრიგებულიყო, რადგან მილიცია ქალაქში თითქმის დაიშალა და ადმინისტრაცია, როგორც მთელი ორგანიზაცია, არ არსებობდა. წეს-რიგს იცავდნენ მხოლოდ რამდენიმე ადგილობრივი საზოგადო მოღვაწენი მილიციის ერთი ნაწილის დახმარებით. საგანგებო კომიტეტის წარმომადგენლის თანდასწრებით გაიმართა კრება, რომელსაც დაესწრნენ ადგილობრივ საზოგადო და სამხედრო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამ კრებაზედ არჩეულ იქნა დაზარალებულთა დამხმარე გორის კომიტეტი, რომლის მოვალეობაში ქალაქის დაც-

# დღეს

მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები ოსმალეთის ახლანდელ მდგომარეობას სერიოზულად სთვლიან.

მოკავშირეთა ნოტის შემდეგ ოსმალეთის კაბინეტი გადადგა.

რუსეთში მყოფ ინგლისის მოქალაქეებს საბჭოთა მთავრობამ ინგლისის მთავრობასთან შეთანხმებით ნება დართო სამშობლოში დაბრუნებისა.

ბოლშევიკების ცნობით საბჭოთა ჯარი როსტოვის რაიონში წინ მიიწევს. ტიხორეცკაიას მიმართულებით აიღო სად. კისლიაკოვკა. ციმბირში საბჭოთა ჯარმა ირკუტსკი აიღო.

ვაც წედიოდა. გადაწყდა აგრეთვე კომენდანტის დანიშვნა, კანდიდატი უნდა წარმოედგინა სახალხო გვარდიის შტაბს. ამ ჟამათ ქალაქის და მაზრის გარეშის გამგეობები ადგენენ და ადმი-

წყო „ბარაკები", სადაც მოთავსდნენ დაზარალებულები თავიანთი ოჯახებით, ჯაფებით. ახლა სოფლებში ჰქვე ერთი კვირაა არის გაზიდული ხე ტყის მასალა და დაიწყეს ბინების აგება. ამ

1861—6 მილიარდი, 1911 წ.—9 მილ. შემოსავალი ერთ ჰექტარის 1861 წელს—114 ლირი, 1911 წ.—251 ლირ. 1899 წლიდან—1910 წლამდე იტალიას ამოუშრია 160000 ჰექტრ. ჭაობი, რომელიც ბალებათ და ბოსტნებათ გადაუქცევია.

გლ. გოდერიძე.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

8 მარტი.

**უცხოეთი ბრძოლის ცნობები.**

**ოსმალეთის გარშემო.**

ლონდონიდან იუწყებიან: ხუთშაბათ დილით ნიტი წამოვიდა ლონდონიდან პარიზში, სადაც ერთ ან ორ დღეს დარჩება. „პტი პარიზიენის" ფიქრით შესაძლებელია, რომ უმაღლესი საბჭოს სხდომები მოხდეს რომში აპრილის პირველ რიცხვებში. გარეშე საქმეთა მინისტრების კონფერენცია ხუთშაბათს განაგრძობდა თათბირს ოსმალეთთან დასადებ ხელშეკრულობის ფინანსიური პირობათა შესახებ. როგორც კი მიიღებენ მარშალ ფოშის პასუხს ოთხშაბათს მისთვის დასმულ კითხვებზე, კონფერენცია ხელ ახლა შეუდგება სამხედრო

ბაზე ჩვენი სამხედრო ზომებით, რომლიც ჩვენ ამ ორი წლის განმავლობაში გამოვიმუშავეთ და რომელთაც საქმეც გავაკეთეთ. ჩვენ მოუწოდებთ მუშაობისაკენ გლეხთა მასას და ჩვენ შევძლებთ იმის მიღებას, რაც გვსურს. იმ დროს, როდესაც ყოფილი მეფის ოფიცრები ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდნენ სპეციალისტები ათეულობით გარდავქმენით და ისინი გვეხმარებოდნენ ჩვენ მუშაობაში. კომისარებთან ერთად ისინი ჩვენთან სწავლობდნენ მუშაობას და სამაგიეროთ, ტეხნიკურ ცოდნას გვაძლევდნენ. მათი დახმარებით წითელ არმიას შეეძლო გაემარჯვებინა ისე, როგორც იმარჯვებდა. ეხლა ჩვენი მუშაობა შრომის ფრონტზე უნდა გადავიტანოთ. ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ყოფილი მესაკუთრეებით, ყოფილი მტრებით

**მოსკოვის საბჭო.**

დღეს განახლებული მოსკოვის საბჭო შეიკრიბა. თავმჯდომარეთ აირჩიეს კამენევი. დეპუტატთა საბჭომ მოწოდებით მიმართა მსოფლიოს მშრომელთ და მისალმებით წითელ არმიას.

**ი ტ ა ლ ი ა შ ი.**

იტალიაში შიმშილია. როგორიც სჩანს იტალიაში სურსათის მხრივ მდგომარეობა მძიმეა. მთავრობა ფიქრობს პურის რეკვიზიციას და აუცილებელ სურსათზე ფასების შემოღებას. სურსათის ნაკლებლუნებასთან ერთად არ არის არც ნახშირი. მატარებლის მიმოსვლა ნახევრად შეწყვეტილია. ყველა თეატრი და რესტორანი 11 საათზე უნდა დაიხუროს.

**როსტოვის რაიონში.**

როსტოვის რაიონში ჩვენ სად. კისლიაკოვსკაია ავიღეთ. ხელში ჩავიგდეთ 3 ზარბაზანი, ტყვიისმფრქვეველები და სხვა ქონება.

# ახალი ამბები

**ნოე რამიშვილის ავათმყოფობა.** შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ბ. რამიშვილი გაციებულა და ავათ გახდა. მისი მოვალეობის შესრულება დაევალა მის ამხანაგს ნ. გ. ჭიჭინაძეს

◆ **ნავთი.** 5 მარტიდან სასურსათო განყოფილება არიგებს საუბნო სასურსათო კომიტეტების საშუალებით მუშათა მაგიდის ნავთს არსებულ რაოდენობათ და ფასით. ნავთი მიიღება თანვარის ტალონებით. იმ პირთ, რომელთაც მიღებული არა აქვთ იგი დეკემბრის ტალონებით, ნავთის მიღების უფლება არ ეკარგებათ.

◆ **ხაჭართა მუშები.** ყარაიაზის სახაზინო მამულის მეორე განყოფილებაში სარწყავი არხების გასაყვანად. მსურველთ შეუძლიათ პირობებს გაეცნონ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის სასოფლო სამეურნეო განყოფილებაში დილის 9—2 საათამდე.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტრომ** ცირკულიარული წინადადება მისცა რესპუბლიკის ყველა მაზრების მილიციის უფროსებს, რათა მათ ყოველთვის 10-მდე წარუდგინონ ცნობები სათანადო სასამართლოს ბრალდებულ მაზრაში მომხდარ ბოროტ მოქმედების შესახებ.

◆ **ამხ. დევდარიანის ლექცია.** ხუთშაბათს, 11 მარტს, საღამოს სრულ 7 საათზე, ვერის მუშათა კლუბში დანიშნულია მეორე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება. კრებაზე რუსეთის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს რუსეთიდან ახლად დაბრუნებული ამხ. ს. დევდარიანი.

◆ **სოც. დემოკრატ. სტუდენტთა საყურადღებოთ!** გუშინწინ დაიწყო სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობის არჩევნები. არჩევნები დღეს საღამოს 9 ს. გაგრძელდება. ყველა პარტიის წევრის და თანამგრძნობის ვალია ყუთთან მივიდეს და ხმა მისცეს სიას № 1. ს. ბიურო.

◆ **სახელმძღვანელოების განხილვა.** განათლების სამინისტროსთან არსებული სამოსწავლო კომიტეტი უკვე შეუდგა რესპუბლიკის სკოლების ქართულ სახელმძღვანელოების განხილვას. კომიტეტმა პირველათ განიხილა ს. ხუნდაძის გრამატიკა.

◆ **სადუტკრის მოვლა** (მეფუტკრის კალენდარი) თხ. ედუარდ ბერტრანისა, თარგმანი ლ. ცაგარელისა რედაქციამ მიიღო წიგნი შეიცავს 193 გვერდს საშუალო ფორმატისა და ღირს 80 მან. წიგნის შეძენა შეიძლება მთარგმნელთან სამხედრო სამინისტროში.

◆ **სოფელ კინჩხაში** (სენაკის მაზრა) გაიხსნა ფოსტის განყოფილება. ფოსტის გაცვლა გამოცვლას აწარმოებს ნოქალაქევთან, რომელსაც დაშორებულია 22 ვერსით. დაიხურა 1920 წ. 24 იანვრის კანონის თანახმათ წარმოებული საფოსტო ოპერაციები გორდის სოფლის სამმართველოში.

◆ **აღდგენილია კავშირი ტელეგრაფით** ყუბანის, თერგის და დაღესტნის ოლქებთან, სტავროპოლის შავი ზღვის გუბერნიებთან და ყირიმთან შინაგან ნიხრის ფას. გადასახდელებით.

◆ **რუსეთის რევოლიუციის მესამე წლის თავის** აღსანიშნავად მარასკევს, 12 მარტს, სახალხო უნივერსიტეტი და მუშათა კლუბი მართავს საზეიმო საღამოს მომხსენებლებია ქართულად ევგენი გეგეჭკორი და რუსულად ლევ. კრემერი. ნაჩვენები იქნება კინემატოგრაფიული სურათები რევოლუციონური ცხოვრებიდან. რევოლიუციონურ ჰიმნებს შეასრულებს სახალხო უნივერსიტეტის კონსერვატორიის გუნდი და ორკესტრი.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** დღეს საშაბათს 13 მარტს წაიკითხავენ ლექციებს ცენტრში (პლეხანოვის პრ. № 123) 1) ექ. ტურიაშვილი—ჰიგიენა; 2) ვ. ბარნოვი—ქართული მწერლობა. მესამე უბანში (ჩუღურეთში) 1) ა. წერეთელი—ისტორია; 2) ექ. ციცხლაძე—საუბარი ჯანმრთელობაზე

# მთავრობის საგანგებო კომიტეტისაგან.

(მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად).

**ქალაქ გორისა და მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სოფლების ყველა მცხოვრებლებს.**

მოქალაქენო!

თქვენ დიდი უბედურება დაგატყდათ თავს. სახლები დაგენგრათ, ქონება დაგეღუპათ და უსახლკაროდ დარჩით.

მარტო თქვენ არ განიცდით მიწის ძვრის საზარელ შედეგებს. არის ადგილები, სადაც მიწის ძვრა უფრო ძლიერია ხოლმე, ვიდრე გორში იყო (მაგალითად: ვერნი, ანდიჟანი—შუაგულ აზიაში). ამ ადგილების მცხოვრებნი თქვენსავით არა ერთხელ გაუბედურებულან. მაგრამ ინჟინრებმა გამოიგონეს ისეთი სახლები, რომლებიც მიწის ძვრისაგან აღარ ინგრევა, და ეხლა ამ ადგილების მცხოვრებნი დამშვიდებული არიან, მიწის ძვრისა აღარ ეშინიათ.

ჩვენი ინჟინრები ამ ჟამად უკვე შეუდგნენ ამ საკითხის გამორკვევას. მათ შეადგინეს გეგმა ისეთი სახლისა, რომელიც მიწის ძვრისაგან აღარ დაინგრევა. ერთი თვის შემდეგ ერთ-ერთის დანგრეულ სოფელში აშენდება ასეთი სახლი, რათა თვითეულს თქვენგანს საშუალება ჰქონდეს თავისი თვალით ნახოს იგი, აშენოს იმის მსგავსი სახლი. მალე შემუშავდება გეგმა ქალაქური სახლისაც. იმ დრომდე კი, სანამ ჩვენი ინჟინრები ამ საქმეს დაასრულებდნენ, არავინ არ უნდა აშენოს სახლი და არც შეკეთებას შეუდგეს. ეს ტყუილი შრომა იქნება, რადგანაც, თუ მიწა კიდევ ინძრა, ძველებურად აშენებული სახლები ისევ დაინგრევა.

მოქალაქენო! თავი შეიკავეთ, ჯერ ნურაფერს აშენებთ. ამას მოითხოვს თქვენი და თქვენი ჩამომავლობის სასიცოცხლო ინტერესები. მცოდნე ხალხი გვაჩვენებენ, როგორი სახლები უნდა აშენოთ, მთავრობა და თქვენი დემოკრატიული ორგანიზაციები ყოველნაირ დახმარებას აღმოგიჩენენ, და ძალიან მალე დანგრეული სოფლების ადგილას აღმოცენდება, გაიზრდება ახალი სოფლები, სადაც მიწის ძვრის აღარ შეგეშინდებათ, სადაც დამშვიდებული იცხოვრებთ და ისარგებლებთ ყველა იმ სიკეთით, რომელსაც იძლევა სატეხნიკო მეცნიერება.

# უცხოეთი

**ა დ ე რ ბ ე ი ჯ ა ნ ი**

**ქალაქის საბჭო და მუშა-მოსამსახურენი.** ბაქოს მუშა-მოსამსახურეთა დელეგატების ყრილობამ 1 მარტს დაადგინა შესწყვიტოს ქალაქის დაწესებულებებში ზედმეტი მუშაობა. სათანადო დადგენილების ძალით ასეთი მუშაობა დაშვებული უნდა ყოფილიყო ზოგიერთ დაწესებულებებში და ზედმეტ მუშაობის თვითეულ საათში მუშას უნდა მისცემოდა ერთნახევარჯერ მეტი იმ ხელფასისა, რასაც იგი ნორმალური მუშაობის დროს იღებდა, რადგანაც ქალაქის გამგეობამ ზედმეტი მუშაობა თითქმის ყველა დაწესებულებებში შემოიღო და აგრეთვე 1919 წლის იგნისიდან ხელფასიც კი არ მიუცია მუშებისათვის,—მუშები იძულებული შეიქნენ დასახელებული ნაბიჯი გადაედგათ. საქმეში ჩაერია შრომის სამინისტროც; მან მოუწოდა მუშებს გაეგრძოთ ზედმეტი მუშაობა; ამასთანავე აღუთქვა პარიტეტულ კომისიის შედგენა მუშა-მოსამსახურეთა და ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებისაგან, რომელიც გაარჩევს მომხდარ კონფლიქტს. აგრეთვე სამინისტრო ჰპირდება მუშებს დაითანხმოს ქალაქის გამგეობა მუშების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. საპასუხოთ შრომის მინისტრს ქალაქის მუშა მოსამსახურეთა კავშირმა მიმართვა გაუგზავნა, რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ ვერ ენდობა ქალაქის გამგეობას და ეთანხმება შრომის სამინისტროს მხოლოდ იმაში, რათა მოეწყოს კომისია პარიტეტულ ნიადაგზე, ხოლო უკანასკნელმა 10 დღის განმავლობაში უნდა გაარჩიოს კონფლიქტი და გამოიტანოს თავისი დასკვნა. ამასთანავე კავშირი თანახმაა, თუ ხელფასი დასახელებულ სისრულეში მოყვანის გარანტია იქნება, განაგრძოს ზედმეტი მუშაობა დასახელებულ 10 დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეთა კავშირი თავისუფალ მოქმედების უფლებას იტოვებს.

**ჩრდილო-კავკასიაში.**

**ამერიკელების დახმარება.** სანზგო კონფერენციის უმაღლეს კომისარმა ამიერ კავკასიაში და ახლოაღმოსავლეთის დამხმარე ამერიკულ კომიტეტის დირექტორმა ჰასკელმა აღუთქვა დახმარება დენიკინელებისაგან დაზარალებულ მთიელებს. ჯერ ჯერობით დაღესტანში გაიგზავნა ორი ყუთი მედიკამენტები. ახლო მომავალში კონსტანტინოპოლიდან მოელიან დიდძალ მედიკამენტებს, საცვლებს, რძეს და სხვ. ჰასკელმა აღუთქვა საქართველოში და სომხეთში დანიშნულ ჩრდილო კავკასიის დიპლომატიურ წარმომადგენელს ჰაიდარ ბამმატს დაუთმოს ამ საქონლის ნაწილი მთიელებისათვის.

**აჯანყება ოსეთში.** კავკავიდან ჩამოსულ პირის გადმოცემით 25—26 თებერვალს ოსეთში მოხდარა დიდი აჯანყება. აჯანყებულები მოითხოვენ დენიკინელების გაძევებას მთიელთა ტერიტორიიდან და მთიელთა გაერთიანებას ლოზუნგის ქვეშ: „არც დენიკინელები, არც ბოლშევიკები!" „მოხალისეებმა" აჯანყების ჩასაქრობათ გაგზავნეს დამსჯელი რაზმი პოლკ. დოროფეევის ხელმძღვანელობით. რაზმი ოსეთის გულში—ქალ. არდონში დაბანაკდა. თუ მთიანი ოსეთი დახმარებას გაუწევს აჯანყებულებს, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აჯანყებულები გაიმარჯვებენ და „მოხალისენი" გაძევებული იქნებიან ოსეთის ტერიტორიიდან. (აშ. ბ.").

**გ ე რ მ ა ნ ი ა.**

**სამხედრო დამნაშავეთა გაცემის საკითხი.** გაზ. „საბახი" სწერს: ბევრი ისეთი პირები, რომლებიც შეტანილი იყვნენ სამხედრო დამნაშავეთა სიაში და უნდა გაცემული ყოფილიყვნენ მოკავშირეთა მოთხოვნის თანახმად, უკვე გაიქცნენ გერმანიის საზღვრებიდან. ასეთი პირები უმთავრეს ნაწილათ შვეიცარიას აფარებენ თავს; ამიტომ მოსალოდნელია გერმანიის მთავრობამ უარი განაცხადოს მათ გაცემაზე. გაზ. „ლოკალ ანცაიგერში" მოთავსებულია ჰინდენბურგის წერილი, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „არც ერთი ნემეცი არ დანებდება თავისი სურვილითო".

**ო ს მ ა ლ ე თ ი.**

**ოსმალეთის სომხებისათვის.** გაზ. „ენი გიუნის" ცნობით სომხეთის ერევნის მთავრობას გადაუდვია ოსმალეთის სომხურ სკოლების სასარგებლოთ 2 მილიონი მანეთი. რუმინელი სომხები შემოწირულებას აგროვებენ ოსმალეთის სომხების ობლათ დარჩენილ ბავშვთა თავშესაფარის მოსაწყობათ. დღემდე შეგროვებულია 100.000 ფრანკი, რომლითაც განზრახულია რამოდენიმე ვაგონი ფქვილი იყიდონ და გაუგზავნონ სომხების სასარგებლოთ ოსმალეთში.

# დახმარება მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ

(მთავრობის საგანგებო კომიტეტს მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად სხვადასხვა სანოვაგით და თეთრეულობით დახმარება აღმოუჩინეს).

საკრედიტო დაწესებულებათა კავშირმა 40 ფუთი პური.

— საქართველოში არსებული სომხეთა ეროვნულმა საბჭომ სრულიად უფასოდ დაუთმო სომხურ-ექიმთა საავადმყოფოში 20 საწოლი.

— სოხუმის საბჭო ატყობინებს მთავარ კომიტეტს, რომ იქ უკვე შესდგა დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი, რომელიც ლებულობს მოქალაქეთაგან ყოველგვარ შემოწირულებას და აღუთქვამს მთავრობის კომიტეტს ყოველივე დახმარებას.

— ამერიკის დამხმარე კომიტეტმა აღმოსავლეთში 3 ვაგონი ძველი ტანისამოსი.

— ქ. თელავის თვითმართველობა იტყობინება, რომ იგი მზად არის თვით საკუთარ ხარჯზე ორი თვის ვადით შეინახოს 50 დაზარალებული ლტოლვილი, ხოლო მთავრობის დახმარებით 150 ლტოლვილი.

— ა. წ. 29 თებერვალს ქ. გორში გაემგზავრა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა მოახდინოს გეოლოგიური გამოკვლევანი იქ მომხდარ ნიადაგის რყევის შესახებ.

— აწ. 28 თებერვალს მთავრობის განკარგულებით ქ. გორში გაემგზავრა განსაკუთრებული სტატისტიკური კომისია ბ. ვ. ვ. გელეიშვილის მეთაურობით სტატისტიკურ გამოკვლევათა საწარმოებლად.

— სოფ. ნეჯვრისხევის უბნის მომრიგებელი მოსამართლე ქოქიშვილი ატყობინებს მთავრობის კომიტეტს, რომ იქ სასამართლოს შენობა მიწის ძვრის გამო დაზიანებულია, მუშაობა შეუძლებელია და ითხოვს შესაფერ განკარგულებას.

— ქ. გორიდან ლტოლვილთა გადასაყვანად რესპუბლიკის რკინის გზის სამმართველომ დანიშნა მუდმივ მოძრაობაში განსაკუთრებული მატარებელი.

— ბაქოში თანამშრომელთა ცენტრალური საბჭო ატყობინებს მთავრობის კომიტეტს, რომ იქ უკვე თანამშრომლებს თავის თვიური ჯამაგირის 5% შეუტანიათ ადგილობრივ დამხმარე კომიტეტში. ეკითხება კომიტეტს: სავალდებულოა თუ არა კიდევ ერთი დღის ჯამაგირის კომიტეტის განკარგულებაში გადმოგზავნა, რაზედაც კომიტეტმა აცნობა, რომ ყოველივე შემოწირულება უნდა იგზავნებოდეს მის სახელზე.

— სიღნაღიდან იუწყებიან, რომ იქ დაარსებულა დამხმარე კომიტეტი, რომლის განკარგულებაში სიღნაღის მაზრის ერობას გადაუცია 50 000 მანეთი, რითაც მათ შეძლება აქვთ 100 სულის შენახვა და საზრდოობა: იმედი აქვთ მომავალში ეს რიცხვი გაადიდონ. სიღნაღის მაზრის კომიტეტს უმჯობესად მიაჩნია, რომ იქ გადაგზავნილ იქნენ უმთავრესად ქალები და მცირე წლოვანნი. ასლი ამ დეპეშისა, მთავრობის კომიტეტმა გაუგზავნა თავის რწმუნებულს ქ. გორში ექიმს ზანდუკელს ცნობად და სახელმძღვანელოდ.

— ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო იტყობინება, რომ იქ დაარსებულა მუდმივი დამხმარე კომიტეტი და იმავე საბჭოს საერთო სხდომაზედ საჩქაროდ მოუგროვებია 686,000 მან.

— ხონში შესდგა გორში დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი, რომელიც, როგორც გადმოგვცემს დეპეშა—ენერგიულად მუშაობს ნაკისრ მოვალეობის შესრულებისათვის.

— რესპუბლიკის ერობათა კავშირის გამგეობამ შესწირა გორში დაზარალებულებს მრავალი სათბილოები, ტანისამოსი და აგრეთვე რამდენიმე ათი ათასის პირველ საჭიროებათა ნივთები, როგორც არის ვედროები, თეფშები, კოვზები, ჩაიდნები, და სხვ. ხსენებულ ნივთთა გამოსაგზავნათ გაიგზავნა საგანგებო კავშირის წარმომადგენელი ქალ. ქუთაისში.

იტალიანური კავკასიის ბანკმა შემოსწირა—200,000 მან.

— დიმიტრი ილარიონის ძე წითლანაძემ—100,000 მან.

— ვერის იოანე ნათლის მცემლის ეკლესიის წინამძღვრისაგან 22 თებერვალს წირვაზე შეკრებილი—1,561 მან.

— თფ. მე 11 უბნის მომრიგებელ მოსამართლის კანცელარიის მოხელეებმა—160 მანეთი.

— სომ.-კათოლიკეთა საქვ. საზოგადოებამ—2,310 მან.

ნოე სიხარულიძემ 15 000 მან., დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილმა 500 მან., თფ. XXI უბ. სამომრიგებლო უბნის მოხელეებმა 280 მან., რაჟდენ მათეს ძე არსენიძემ 1.000 მან., გიორგი თევდორეს ძე ქორიდანიამ 1.000 მან., დიმიტრი ილარიონის ძე წითლანაძე 1.000 მან., იუსტიციის სამინისტროს მოხელეთაგან 2.240 მან., საქრთოხმრეწველობის დეპ.—2 იტალიის მოქალაქეთა ინჟ. დალაპროპოსტო და ვიტოლოსაგან 50 000 მან., საფრანგეთის სამხედრო მისიისაგან 100 000 მან., გიორგი სულხანის ძე ამირაღოვმა 500 მან., კავკასიური შავი ზღვის საგაჭრო-სამრეწველო აქციონერთა საზოგადოების მოხელეთაგან 2 700 მან., მიხეილ ალექსანდრეს ძე ქუთათელაძისაგან 100 000 მან., მე-VIII უბნის მომრ. მოსამართლის მოხელეთაგან 51 მ., რუსულ კლუბის მამასახლისთა საბჭოსაგან 10.000 მ., ქართულ შერქინთა ამხანაგობა კავკასია და პერმესი 5.000 მ., კლუბი „უნიონი" სწევრთაგან 44.316 მ. 50 კ. საქართველოს სენატის მოხელეთაგან 3,675 მან., უფროსი ნოტარიუსის მოადგილეთაგან 450 მ., თფ. მე-15 უბ. მომრ. მოს. მოხელეთაგან 210 მან., თფ. მე 14 უბ. მომრ. მოს. მოხელეთაგან 170 მ., თფ. მე 9 უბ. მომრ. მოს. მოხელეთაგან 356 მან., დამფ. კრების წევრის ბერნშტეინის მიერ კოლონიებში შეგროვ. 6.609 მან., თფ. საურთიერთო ნდობის სამეურნეო სა—ბის ბანაკიდან და მოხელეთაგან 109 700 მანეთი, სასტუმრო „ნოე"-ს მოსამსახურეთაგან 830 მანეთი, ა. ა. მარკარიანისაგან 2,000 მან., შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ რაზმისაგან 15,437 მან., ამიერ კავკასიის გერმანულ კავშირთა საბჭოსაგან 21,000 მ., არ. მიხ. ახნაზაროვისაგან 1,000 მან., მე 13 უბნ. მომრ. მოს. მოხელეთაგან 100 მან.

მთავრობის საგანგებო კომიტეტი ამით აცნობებს, რომ გორის მაზრაში კომიტეტის რწმუნებულად დანიშნულია ექიმი ზანდუკელი, რომელსაც ემორჩილება ყველა ადგილობრივი დამხმარე ორგანიზაციები და ყველა დაწესებულება და ყოველივე მუშაობა უნდა სწარმოებდეს მასთან შეთანხმებით.

# ალექსი (კუმლა) ყარაულაშვილის ხსოვნას.

შარშან ამ დროს მოისვენეს თელავის სახალხო გვარდიელებმა ალექსი ყარაულაშვილის გვამი ახალციხის ფრონტიდან.

ალექსი სოფლის უსწავლელი გლეხი იყო, მაგრამ მისმა დაკვირვებულმა გონებამ ჩქარა აუღო ალღო დუხჭირ ცხოვრებას და თავიდანვე ჩაება სახალხო მოძრაობაში. ის, პირველი მოწაფე იყო განსვენებულ გ. ხირსელისა, 1903 და 1904 წ. ხირსელის საიდუმლო მუშაობაში ერთი მესაიდუმლეთაგანი ალექსი იყო. მოგეხსენებათ კახელი გლეხის ბუნება. დინჯი, აუჩქარებელი, გვიან მიმხვდომია, მაგრამ თუ ერთი რამეში დარწმუნდა, მერე ვერარავინ ამოგლეჯს გულიდან მის რწმენას და აი, როცა 1906 და 1907 წლებში რეაქციამ გაშალა თავისი შავი ფრთები ს. კურდღელაურში აღმოაჩინეს საიდუმლო სტამბა ხირსელის მეთაურობით მოწყობილი. ხირსელი მაშინ გაუსხლტა ჟანდარმებს ხელიდან და მტარვალებმა მის მოწაფეზე იყარეს ჯავრი, საშინელი წამება, ცემა და ათასნაირი დამცირება მიაყენეს მას. საშინლათ აწამეს ის, მაგრამ ვერაფერი ათქმევინეს ამ რკინის ხასიათის ადამიანს. ალექსის არც ერთ წუთს არ უღალატნია სახალხო საქმისთვის და ყოველ გაჭირვების დროს მზათ იყო მტლათ დასდებოდა საერთო საქმეს. და აი, როცა ჩვენმა ქვეყანამ მოითხოვა თავდადებული გმირები სამშობლოს და თავისუფლების საქმისათვის, ალექსის ჩვენ ვხედავთ მებრძოლთა პირველ რიგში, ის არა ერთსა და ორ ბრძოლაში იყო შინაურ თუ გარეშე მტრებთან.

აი ასეთი თავდადებული გმირი გამოგვტაცა ხელიდან მუხანათურათ გამოსროლილმა ოსმალოს ტყვიამ. ალექსის ხასიათის სიმტკიცეს და გმირობას ახასიათებს ისიც, რომ მან პირველმა განაცხადა და სთხოვა ამხანაგებს, თუ ვინიცობაა აქ ჩემს ქვეყანაში მედიროსოს დამარხვა, არამც და არამც მღვდელი არ გამიძღვაროთო, მართლაც ალექსი აქაც პირველი მაგალითი იყო სხვებისა; შარშან ამ დროს დიდის ამბით დაასაფლავეს ალექსი თელავში თავისი მასწავლებელ ხირსელის გვერდით. და აი, წლის თავზე ემზადება თელავის მადლიანი დემოკრატია, რომ მივიდეს საფლავზე და ახაროს სამშობლოს განთავისუფლება და მის სანუკვარ დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცება.

უკვდავი იქნება შენი სახელი ჩვენში ძვირფასო ალექსი!

**ხოხო მაჭავარიანი.**

# მუშა-ხელოსნების საზღვარ-გარეთ გაგზავნა

ვინც ოდნავ მაინც იცნობს ჩვენი მეურნეობის ტეხნიკურ მხარეს და მისთვის გული შესტკივა, არ შეიძლება სიხარულით არ შეხვდეს ამხ. ბ. თეკლათელის აზრს „ერთობის" № 34 ში გამოთქმულს, „სპეციალისტების მომზადების" შესახებ. ამხ. თეკლათელი ამბობს, რომ შრომის ნაყოფიერებისათვის საჭირო და აუცილებელია თეორეტიულ სპეციალისტ—ხელმძღვანელთა გვერდში უდგეს პრაქტიკული სპეციალისტი თანამშრომელი, შესაფერი და მისი ენის გამგონი, გაწვრთნილი. ამიტომ ამხანაგი მოითხოვს, რომ მასწავლე ახალგაზრდობასთან ერთად გაგზავნილი იქნენ მუშებიც საზღვარ გარეთ ცოდნა გამოცდილების მისაღებათ. ეს ისეთი დიდი საქმეა, რომ საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს. (განსაკუთრებით მუშების მხრით) უდავოა, რომ ჩვენ გვჭირია ცოდნა, გულშემატკივრობა და მისი სარგებლიანობის დაფასება. უდავოა ისიც, რომ გაკეთების მაგიერ, ნადგურდება ევროპიდან მოტანილი მანქანა იარაღები უცოდინარობითა თუ უდევნებლობით: ვანადგურებთ ხშირათ ბარბაროსულათ მას, რის შეკეთებაც აღარ შეგვიძლიან. საჭიროა მიშველება დამზოგველი ხელისა, მაგრამ ამისათვის საჭიროა ცოდნა, გამოცდილება; საჭიროა გამოცდილი მასწავლებელი, რომელიც გვასწავლის, არა მარტო გაკეთებას, არამედ გაკეთებულის მოვლა-დაზოგვასაც, რომელიც გაკეთებაზე მეტს ნიშნავს ეკონომიაში. ასეთი მასწავლებელია ჩვენთვის მხოლოდ და მხოლოდ ევროპა (განსაკუთრებით გერმანია და გერმანიის შვეიცარია) მთავრობამ 100 მდე სტუდენტები გაგზავნა საზღვარგარეთ, პრინციპიალურად გადაწყვეტილი აქვს მუშა-ხელოსნების გაგზავნაც, მაგრამ პრაქტიკულად ჯერ ვერ ხორციელდება, უთუოთ იმ მიზეზით, რომ ამას დიდი ხარჯი სჭირია, მაგრამ შეიძლება საქმე ისე მოეწყოს, რომ ძალიან უმნიშვნელო ხარჯით ეს შედარებით დიდი საქმე მოვახერხოთ; ამხ. თეკლათელი ამბობს, რომ ხელოსნები იქ იშრომებენ და ჯამაგირსაც მიიღებენ. ეს მართალია, ევროპაში რაც გინდ კრიზისი იყოს, ხელოსანი მუშამ იშოვნის ადგილს და შემდეგ მთავრობის დახმარება ფულით საჭირო აღარ იქნება. უმთავრესი დახმარება მთავრობისა იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ მიიყვანოს იქა და რამდენიმე კვირა ან თვე, სანამ ადგილს იშოვიდეს საზრდო მისცეს და რაც უმთავრესია [illegible] დგომილოს იქაურ მთავრობასთან [illegible] რათა გაუადვილოს [illegible] სურველ დარგში ადგილის შოვნა. ეს კი შეიძლება მაშინ, თუ, როგორც ზოგიერთებს უნდათ, ასობით კი არ გავგზავნით მუშებს, არამედ—არა უმეტეს 10—25 კაცამდე. ეს დიდად გაგვიადვილებს საქმეს ბევრის მხრივ: ჯერ ერთი პირველი ცდისათვის საჭიროა საუკეთესო პირების არჩევა და რაც ნაკლები იქნება მით ნაკლები იქნება შეცდომა, ხარჯიც დიდი აღარ დასჭირდება. ადვილი იქნება ადგილების შოვნა, თვალყურის დევნება და სხ. გარდა ამისა, ჩვენ ეს რიცხვი ადვილად დაგვანახვებს ცდის შედეგების დადებითს თუ უარყოფითს მხარეს. და ჩვენც იმის დაკვალად მოვიქცევით ყოველ შემთხვევაში, მუშების დიდ ჯგუფობით გაგზავნას უნდა ვერიდოთ უსათუოდ, რადგან დიდ ხარჯთან ერთად დიდი შეცდომებიც იქნება. მასთან ყველა თავის დარგზე უნდა წავიდეს, თორემ თუ ოცნებას გაჰყვა, შრომა და ხარჯი დაკარგული იქნება. პირველად წასული ჯგუფი, თუ სასურველი სიმხნით მოეკიდება საქმეს, ნიადაგს მოუმზადებს შემდეგ პატარა პატარა ჯგუფებს და თვითონვე მოითხოვს რამდენი კაცი და რა დარგისა უნდა გაიგზავნოს. შემდეგ შეიძლება ექსკურსიები მოეწყოს. ეს დამოკიდებული იქნება სწორედ ამ პირველი ჯგუფის მხნე მუშაობაზე. ამიტომ აუცილებელია პირველად მცირე, მაგრამ ღირსეული ჯგუფი გაიგზავნოს. ამნაირად სულ მცირე ხარჯით მალე დავინახავთ დიდ შედეგებს. ეს მეტად საჭირო საქმე აღარ უნდა დაგვიანდეს და რაც შეიძლება უნდა დაჩქარდეს. ამ ორი წლის წინეთ იყო ამის შესახებ წერილები ერთსა თუ ორ გაზეთში მუშების გერმანიაში გაგზავნის შესახებ და რომ მაშინ გაგვეგზავნა, ეხლა დაბრუნებულნი იქნებოდენ და ბევრიც გაკეთებული იქნებოდა, მაგრამ ჩვენ მაშინ ალბად ამაზე ფიქრი არ შეგვეძლო, თუმცა საკითხიც მიზან შეწონილიც იყო და საზღვარ გარედაც უფრო ხელსაყრელი პირობები იყო სამისოდ, რადგან იაფობაც იყო და ნაკლები ხარჯი დაგვჭირდებოდა, მაგრამ არც ეხლა გვიან, ოღონდ ახლა ნუღარ დავაყოვნებთ, საჭიროა დროზე საქმეს შევუდგეთ. მარტოკა ის რად ღირს, რომ იქაური მეუყაითი შრომა და ნაშრომის დაზოგვა შეითვისოს ჩვენმა მუშებმა სპეციალობისაც რომ თავი დავანებოთ? ზოგის აზრით პირველადვე ექსკურსიის მოწყობა საჭირო, ეს დიდ ხარჯს მოითხოვს და სარგებლობა კი დიდი არ იქნება. ამიტომ აუცილებლად ჯერ ეს ჯგუფი უნდა მოეწყოს და შემდეგ ექსკურსიები.

**გიორგი ქავკაძე.**

# სერჟერ-ბეგის ახალი ავანტიურა

ჯერაც არ მოშუშებულა ის მწვავე ჭრილობები, რომლებიც ცნობილ სერჟერ ბეგ ათაბეგოვის ავანტიურამ გაჩეგრებულ მესხეთს თავს დაატეხა.

არტაან ახალციხის მუსულმანობას, დღესაც წელი ვერ წამოუდგამს, რომ თავი დააღწიოს წარსულ ომებისაგან მიყენებულ შიმშილ-სიცივეს და ოდნავ წარმატებითი ცხოვრებას შეუდგეს. „აი ალლახმა ჰკითხოს, ვინც ჩვენ შარის გაუვებრობა ჩამოაგდო და ასეთ სილატაკეში ჩაგვყარაო". ხელების აღპყრობით და შესაფერი ლოცვით ავედრებენ დამბადებელ უფლის წინაშე. „ბელზებელი" კი მაინც არ ისვენებს. ეს ანგარების მოყვარე იუდა სერჟერი, ოლთისის კარებში ტარტაროზივით ჩამომდგარი და ისედაც გაწამებულ ხალხს ახალ აჯანყებისაკენ მოუწოდებს! ერთხელ სამარცხვინოთ დამარცხებული და შემდეგ გადახვეწილი ბეგი დაბრუნებულ ოსმალეთიდან შემომძვრალა და ვითომ სტამბოლის დირექტივებით ცდილობს კუთხე კვლავ ანარქიის ქარცეცხლში გახვიოს.

„მე ოლთისში ვარ. რას შვრებით. გაქვთ რაიმე ორგანიზაცია, თუ არა", სწერს სერჟერი რამდენიმე პირს. აქ საქმეს ვაწყობ, ჯარს ვაგროვებ. ოფიცრები მყავს ნაკლებათ, ამიტომ ბორჩხიდან და ბათუმიდან თუ ჩამოვიდნენ ოსმალეთის ოფიცრები, საჩქაროთ ოლთისში გამომიგზავნეთ. შენ, სწერს იმათ ბეგს, ოსმალეთის დარჩენილი ოფიცერია შავშეთში, როგორც შეგატყობინე, დაიკავე და გამოაცხადე შენი თავი შავშეთის და არტაანის უფროსათ. მე, როდესაც მზათ ვიქნები, გაცნობებთ. მომწერეთ როგორია ქართველ სომხების დამოკიდებულება. შემდეგ კითხულობს: სად არიან ესა თუ ის პირები. დაიჭერს და მოუსპობს ყველა ბეგებს და წარჩინებულ პირებს ჩემთან მის საქმიანობაში იმოქმედონ სომხების და ქართველების წინააღმდეგ.

მაგრამ, ჩვეულებრივ სამწუხაროთ, ხმა მისი რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. არავინ პასუხს არ აძლევს. საკმარისია რაც სიმწარე ვიგემეთ, ბეჩავ ხალხის სრულ ნდობით

ადჭურვილი მესვეურები. „ჩვენ მასთან (გადარეულ სერვერ ბეგთან) და სამხრეთისაკენ—საქმე არა გვაქვს. ჩვენ ავირჩიეთ გზა; ეს გზა არის თქვენთან, ღვიძლ ძმებ ქართველებთან სიკვდილი, თქვენთან ყოფნა და თქვენთან დარჩენაო“.

წარსული გაკვეთილით განაწამები მუსულმანობა, ერთხელ და სამუდამოთ წესიერ მოქალაქობრივ ცხოვრების ფერხულში ჩაბმული და სერვერის გვარი ავანტიურისტები ადვილათ ხელს ვერ აალებინებს მას ქართველ დემოკრატიასთან ერთად რესპუბლიკის სამსახურზე.

იოლდა.

## ზოგიერთი გარეული ცხოველების მნიშვნელობა სასოფლო-მეურნეობაში

დაუზოგავმა ხოცვამ ზოგიერთი გარეულ ცხოველებისა, თავისი ნაყოფი გამოიღო. მინდვრის სხვადასხვაგვარი თაგვები და ვირთხები საშინლათ გამრავლდენ, რაც მეტათ დიდ ზარალს აყენებს სასოფლო მეურნეობას.

უკანასკნელი წლების სტატისტიკური ცნობები კავკასიის შესახებ გვაჩვენებს, თუ რამდენათ მაზარალებელნი არიან ეს ცხოველები.

1912 წელს მათ სრულებით გაანადგურეს 330,000 დესიატინა ნათესი, 1913 წელს კი 230,000 დეს. იმ წლებში, როდესაც მინდვრის თაგვი განსაკუთრებით ბევრია, მათ მიერ დაჭერებულ მინდორ ყანებში, თითო ოთხკუთხ საჟენზე სამი თაგვის ბუდე მოდის. თითო ბუდეს აქვს ჩვიდმეტამდე ზამთრისთვის ხორბლის შესანახავი ბუდეები. თითო ბუდეში კი 150—165 დე პურის თავთავია მოგროვილი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ერთ ოთხკუთხ საჟენზე მოდის ერთი გირვანქა პურის მარცვალი, მაშინ ერთ დესიატინაზე მოვა 60 ფუთი. მრავლდება მინდვრის თაგვი საოცარი სისწრაფით. ერთი წლის განმავლობაში ბარტყობს 4—6 და შობს 4—8 ბრმა ლეკვებს. მაგრამ ხანდახან მათ გამრავლებას ხელს უშლის მეტეოროლოგიური ცვლილებანი, ეპიზოოტია (ცხოველების გადამდები სენი), ზოგიერთი გარეული ცხოველები და ადამიანი. ადამიანს მინდვრის თაგვთან ბრძოლა რამდენიმე გზით შეუძლია: მექანიკური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური.

პირველი გამოიხატება იმაში, რომ თაგვებს იჭერენ სხვადასხვა ხაფანგებით და მახეებით. ასეთ მახეთაგან ყველაზე უფრო საყურადღებოა ზენდერის ავტომატიური მახე, რომელიც იმ ადგილებში, სადაც თაგვები ბლომათაა, ღამეში ასამდე თაგვს იჭერს. ასეთი მახის შოვნა ახლა მეტათ ძნელია.

ქიმიურ ნივთიერებიდან თაგვების საწინააღმდეგოთ ხმარობენ: ფოსფორს, თაგვის შაქარს, სტრიხნინს და სხვა. გარდა იმისა, რომ ეს საწამლავები ძვირია, ისინი აგრეთვე სწამლავენ შინაურ ცხოველებსაც, საქონელს, ღორებს, ძაღლებს.

სულ სხვა საქმეა ბაქტერიოლოგიური საშუალებე. ამ საშუალებით შეიძლება გავრცელდება ეგრეთწოდებულ თაგვების ტიფუს-ეპიზოოტიის, რომელიც სრულებით ანადგურებს თაგვებს დიდ მანძილზე. თაგვების ტიფის ბაცილა აღმოაჩინა პროფ. ლეფლერმა, შემდეგ ბაქტერიოლოგმა მერეჟკოვსკიმ აღმოაჩინა მეორე ბაცილა, მსგავსი ლეფლერის ბაცილისა, მაგრამ მასზე უფრო ძლიერათ მომქმედი. ეს საშუალება მით არის კარგი, რომ თაგვების ტიფით გარდა თაგვებისა, არც ერთი ცხოველი არ ხდება ავად. თაგვების ტიფის ბაცილის კულტურას ზრდიან განსაკუთრებულ პირობებში და ხმარობენ შემდეგნაირათ: წერომაღვენს სითხეს, რომელსაც ზელავენ პურის ცომში და პატარ-პატარა ნაჭრებათ აბნევენ ყანაში. 5—7 დღის შემდეგ, ასეთი ცომის შეჭმისა, თაგვები ავათ ხდებიან და კვდებიან. კარგათ მყოფი თაგვები ჭამენ ავათმყოფებს, რომლითაც წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეუძლიათ და ისინიც ავად ხდებიან.

ამნაირად, რამოდენიმე ავათმყოფ თაგვს შეუძლია გადადოს ტიფი ყველა თაგვებს. სამწუხაროთ, თაგვების ტიფის კულტურა არ მოგვეპოვება. ჯერჯერობით როგორც ვთქვით, მექანიკური გზით თაგვებთან ბრძოლა მოუხერხებელია, რადგან ზენდერის ავტომატიური ხაფანგი და საზოგადოთ ხაფანგები არ იშოვება.

ქიმიური საშუალებანიც მიუღებელია, მათი სიძვირის და შინაურ ცხოველებზე ცუდათ მოქმედების გამო.

ბაქტერიოლოგიური ყველაზე უკეთესი არის, მაგრამ ვერც ამ საშუალებას მივმართავთ, თაგვის ტიფის კულტურის უქონლობის მიზეზით. ზემოდ მოთქმულიდან სჩანს, რომ ჩვენ ახლანდელ პირობებში, მინდვრის თაგვთან ბრძოლა არ შეგვიძლია. მაშ, უბრძოლველად ხომ გავამრავლდენ ისედაც ბევრი მინდვრის თაგვები და მთლათ გაანადგურებს ნათესი? ეს ასედაც მოხდებოდა, რომ ადამიანს ამ საქმეში არ ეხმარებოდენ ზოგიერთი გარეული ცხოველები და ფრინველები.

ამათგან საკმარისია დავასახელოთ: მელა და სინდიოფალა ფრინველებიდან კი უფრო ღამის ფრინველები: ჭოტი და ბუ.

სინდიოფალა მეტად გამოსადეგია და სასარგებლო ცხოველია თაგვებთან ბრძოლაში. ის თავისი ბუნებით საშინელი გაუმაძღარი და სისხლის მოყვარული მხეცია. თაგვებს სინდიოფალა იმდენს არ ჭამს, რამდენსაც ახრჩობს, მელა ამ შემთხვევაში სინდიოფალას არ ჩამოუვარდება. ის, როგორც კატა ისე ნადირობს მინდვრის თაგვებზე და დიდათაც ჟლეტავს მათ. მოკლულ მელას სტომაქში, ხშირად სხვა საჭმელთან ერთად, იმ ადგილებში, სადაც ბევრი თაგვი იცის, უნახავთ 25—30 თაგვი. სამწუხაროდ, ეს ბევრმა არ იცის: მელა და სინდიოფალა ცნობილნი არიან, როგორც ქათმების და სხვა შინაურ ფრინველების მომტაცებელნი. მართალია, ეს ხდება, მაგრამ ისევე ჩვენი წყალობით, ჩვენი დაუდევრობით.

გადავავლოთ თვალი ჩვენს სოფელს, იშვიათად თუ ნახავთ მოწყობილ საქათმეს, უმეტეს ნაწილად საქათმეები და საბატეები არიან მოთავსებული სახლების ან სხვა შენობების ქვეშ, სადაც არამც თუ სინდიოფალა და მელა, თვით დათვიც კი ადვილათ შევა. ინდაურებს და სხვა ფრინველებს თავის დროზე არ ამწყვდევენ, ტოვებენ უპატრონოთ მინდორში და რასაკვირველია, მელა თავის ლუკმას ხელიდან არ გაუშვებს.

მეორე მიზეზი მელების განადგურებისა არის მათი ტყავი, რომელიც სულ დიდი ახლა 500—600 მ.ნ. ღირს. ჩვენ თუ გავიხსენებთ, თაგვების მიერ დესეტინაზე გაფუჭებულ ქერნახულის რაოდენობას, რომელიც უდრის 60 ფუთს და რომლის ფასიც ახლა ათი ათასობით აღინიშნება, ნათლად დავინახავთ, რომ ტყავისათვის მელის მოკვლა, ეს არის უდიდესი შეცდომა, ეს არის თავისი ყანების დაღუპვა. ზოგიერთ ქვეყნებში, სადაც მელები და სინდიოფალები ცოტაა, კანონით მათი მოკვლა სასტიკად აკრძალულია, რადგან იქ უკვე მიხვდენ, თუ რა დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ ამ ცხოველებს თაგვებთან ბრძოლის საქმეში. ფრინველებიდან ჭოტი და ბუ ყველაზე უფრო მეტს ხოცავენ მინდვრის თაგვებს. ეს ფრინველები გამოდიან სანადიროდ ღამე, როცა თაგვები თავისუფლად და უშიშრად ფუთფუთებენ ნათესს. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი ღამის განმავლობაში თითო ამ ფრინველთაგანი სჭამს არა ნაკლებ 25—30 თაგვისა. ჩვენში ჭოტსა და ბუს, ვერაფერი მიზეზი უპოვნეს, გარდა ხმისა, არ მოწონთ მათი ხმა და ამიტომ უწყალოთ სდევნიან მათ.

საზღვარ გარეთ ყანაში ამ ფრინველების მისაჩვევად აბამენ მაღალ სარს, რომელზედაც ზევიდან დაკრულია ფიცარი. ასეთ საჯდომზე ჭოტი და ბუ ეჩვევა და ირგვლივ თაგვი არ გამოეპარება.

ნათქვამიდან ჩანს, თუ რამდენად სასარგებლო არიან ჩამოთვლილი ცხოველი და ფრინველები თაგვებთან ბრძოლაში. ჩვენს ქვეყანაში ბევრ ადგილასაა თაგვები გამრავლებული და თანდათან ემატება აღმოსავლეთიდან ახალ ახალი თაგვების გუნდები. ჩვენ მათთან ბრძოლა ხაფანგების, ქიმიურ საშუალებების და თაგვის ტიფის კულტურის უქონლობის გამო არ შეგვიძლია. დარჩა ერთად-ერთი გზა,—ეს არის ჩამოთვლილი ცხოველების შენახვა და მათი გამრავლების ხელის შეწყობა და არა განადგურება, როგორც დღემდე იყო და ახლაც არის ჩვენში.

ი. ბ.

## ერობათა ცხოვრება

**საღამოს კურსები მოზრდილთათვის თფილისის მაზრის ერობის სკოლებთან.**

არავისათვის არ არის დამალულ-დაფარული, რომ აღმოსავლეთი საქართველო საზოგადოთ და თფილისის მაზრა კერძოთ ძალიან მოიკოჭლებს წერა-კითხვის ცოდნაში: ბევრია ისეთი სოფელი ეხლაც კი, სადაც ხელის მომწერთა მცოდნე თითებზე ჩამოითვლება...

აი ამ გარემოებამ აიძულა თფილისის მაზრის ერობა მიექცია სათანადო ყურადღება ამ დიდი ნაკლისათვის და ხალხში წერა კითხვის გასავრცელებლათ სოფლის სკოლებთან დაარსებინა საღამოს კურსები მოზრდილთათვის.

ჯერ ჯერობით ასეთი კურსები გახსნილია სოფ. ზემო ავჭალაში. (ქალებისათვის და ვაჟებისათვის ცალკ ცალკე), ხაშმში, ნინოწმინდაში, საგარეჯოში, გიორგი წმინდაში და მანგლისში, სადაც გლეხობა დიდის ხალისით იძენს საჭირო ცოდნას.

მეცადინეობას აწარმოებენ თვით მასწავლებლები კლასებში; და გასამრჯელოს იღებენ ერობისაგან 25 მანეთს საათში. როგორც ვიცით, ერობას განზრახვა აქვს ასეთი კურსები, შეძლების დაგვარათ, ყველა სკოლებთან მოაწყოს.

გზა მშვიდობისა!

ძველი მასწავლებელი.

## ფოსტა-ტელეგრაფში

ფოთი. მიუხედავათ იმისა, რომ მთავარმა ცენტრებმა: თფილისმა, ქუთაისმა, სოხუმმა, ფოთმა, ხაშურმა, სამტრედიამ და ბორჯომმა, ერთი სიტყვით, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა აამმა მეოთხედმა უნდობლობა გამოუცხადა ეხლანდელ ცენტრალურ გამგეობას, მოითხოვა მისი გადადგომა და ყრილობის მოწვევა, ის მაინც არ იწვევს ყრილობას და, როგორც სჩანს, არც ფიქრობს ამაზე.

ზემო აღნიშნულმა რაიონებმა დიდი ხანია შესწყვიტეს ყოველგვარი კავშირი ცენტრალურ გამგეობასთან და მოკლებულნი არიან საერთო ნება-სურვილის გამომხატველ ცენტრს. საჭიროა დაუყონებლივ იქნას მოწვეული ყრილობა. და როცა ცენტრალური გამგეობა არ იწვევს ყრილობას, ცხადია, სხვა აზრებით ხელმძღვანელობს და არა ჩვენი ნება-სურვილით. ჩვენ გვგონია ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება გულხელდაკრეფილი ვუყუროთ ცენტრალურ გამგეობას. და შეუძლებელია მას მივანდოთ ყრილობის მოწვევა. იბადება კითხვა: ვინ უნდა მოიწვიოს ის? პასუხი ერთია. რადგანაც ცენტრალურ გამგეობას არ სურს ყრილობის მოწვევა, ამ საქმის ინიციატივა უნდა ჰქონდეს ხელში თფილისის ფ. ტელ. პროფესიონალური კავშირის სარაიონო გამგეობამ საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს დახმარებით, ვინაიდან ეს უკანასკნელი მიგვაჩნია მთელ საქართველოში ყველა კავშირების ხელმძღვანელათ და რომელიც ვალდებულია მიაქციოს ყურადღება შექმნილ მდგომარეობას და იხსნას უეჭველ დანგრევისაგან ფოსტა-ტელეგრაფის კავშირი, რომელშიაც შედის 2000 კაცზე მეტი.

ეს საკითხი იმდენათ საშური და სასწრაფოა, რომ ყოველათ შეუძლებელია მისი გადადება. ამიტომ ცენტრალურ საბჭოს და თფილისის სარაიონო გამგეობას მართებს დაჩქარებით მოაგვარონ ეს საკითხი, რასაც ფოსტის დემოკრატია დიდი ხანია ელოდება.

ფოთის ფ. ტ. მოსამსახურეთა პროფ. კავ. სარაიონო გამგეობის თავმჯდომარე ან. შოთაძე

მდივანი ა. ხელაძე.

## ს.-დ. პარტიაში

ქიათურა. 10 თებერვალს შესდგა ქიათურის ს. დ. ორგანიზაციის პარტიის წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1) მოხსენება კომიტეტისა მისი მუშაობის შესახებ; 2) ანგარიშების განხილვა; 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 4) არჩევა ახალი კომიტეტის და სარევიზიო კომისიის; 5) მიმდინარე კითხვები. პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ს. სიხარულიძე. შემოსავალ-გასავლის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ის. ხარატიშვილი (ხაზინადარი კომიტეტისა), შემდეგ ამისა კრება ისმენს სარევიზიო კომისიის მოხსენებას, რომელიც ეხება კომიტეტის მუშაობას და ანგარიშებს და იწონებს მის მოქმედებას. კრება ამტკიცებს ანგარიშებს. მოხსენებას აკეთებს ხაზინადარი მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ, რომელიც შესდგება შემდეგისაგან: პროფესიონალური მომუშავეს 48,000 მან, მდივანს 24,000 მ., დარაჯს, 14,200 მ., ბინის ქირა 5,000 მ., ტელეფონის 900 მან., განათება 2,400 მ., საკანცელარიო ხარჯები 2,000 მ., სადელეგატო 3,000 მანეთი, მოულოდნელი ხარჯები 20,000 მ სულ 119,500 მ კრება ამტკიცებს ამ ხარჯთ-აღრიცხვას.

ახალი კომიტეტის არჩევის შესახებ შემოდის წინადადება. ისევ ძველი კომიტეტის შემადგენლობა დარჩეს. ამის წინააღმდეგია მ. დობორჯგინიძე. წინადადება შესრულდა, ანგარიშები შედგა და ჩვენ ვალდებული ვართ ახალი არჩევნები მოვახდინოთო ამასვე ეთანხმება ის. ხარატიშვილი და ს. სიხარულიძე, ეს უკანასკნელი უმატებს, რომ მეტი ძალებია საჭიროო, ვ. ი. შვიდის ნაცვლათ კომიტეტი 9 კაცის შესდგებოდესო კრება ადგენს კომიტეტის შემადგენლობაში 9 წევრი იქნებოდეს და ოთხი კანდიდატი. დასახელებულ იქნა კანდიდატები, რომელიც არჩეულ იქნენ კომიტეტის წევრებათ: გ. ანთელიძე, ს. სიხარულიძე ის. ხარატიშვილი, მ დობორჯგინიძე, ს. კაციტაძე, ალ. ვაშაკიძე, ვლ. შანიძე, გრ. ფუხალაძე; ნატ. კირთაძე (სიხარულიძისა). კანდიდატებათ: დიმ. ჯანგიძე, კ. ჩხეიძე, ილ. ბერძენიშვილი, გერ. თავაძე. სარევიზიო კომისიაში: თ. კილანდაძე, ვ. თოდუა და ს. ჯაშიძე. მათ კანდიდატებათ: ივ. წერეთელი და კ. მინდაძე. საფინანსო კომისიაში არჩეულ იქმნენ: ევ. თოდუა, ვ. თევზაძე, ვ. მელიქოვი, ს. ფულაძე, თ. კალანდაძე, ს. წერეთელი, პეტ. წერეთელი, კალისტ. ბრეგვაძე, კოსტ. ქვარიანი, ევგ. იაკობაშვილი, დ. კლდიაშვილი, ივ. რამიშვილი, ჭიჭინაძე, ირ. გამეზარდაშვილი, მეგრელიშვილი.

მდივანი.

## მუშათა შორის

**სურსათზე მომუშავეთა პროფ. კავშირში.**

1 მარტს შესდგა სურსათზე მომუშავეთა პროფ. კავშირის გამგეობის სხდომა. დღის წესრიგში იყო: 1) ხაზინადარის არჩევა, 2) კასების და ფულების საკითხი, 3) მომავალი მუშაობა, 4) მოზრდილთათვის ტარიფის გატარების შესახებ, 5) ღვინის სარდაფში მომუშავეთა დაუვალება გამგეობის მდივნებისადმი, რომ დაწესებული ტარიფი დაურღვევლად გატარდეს. 6) გორის მაზრაში დაზარალებულთა შესახებ; 7) საერთო კრების მოწვევა და ერაძის მოხსენება და 8) კულტურულ განმანათლებელ სექციის დაარსება. ხაზინადრათ გამგეობამ მოიწვია მ. ქურხული. კასებისა და ფულების შესახებ დადგენილ იქნა: ოთხშაბათს პრეზიდიუმმა მოიწვიოს ყველა სექციის ხაზინადრები და სარევიზიო კომისია, სადაც მთელი თანხა უნდა გადაეცეს ცენტრალურ გამგეობის ხაზინადარს. შემდეგ კი, როცა ტექნიკურათ მოსახერხებელი იქნება, თანხა ისევ გადაეცეს პრეზიდიუმს.

მომავალი მუშაობის შესახებ გამგეობამ გაითვალისწინა რა, რომ გამგეობის სხდომები ხშირად არ ხდება წევრთა დაუსწრებლობის გამო და რომ პრეზიდიუმის წევრები ხშირათ გაუცნობლათ ეკიდებიან საქმის გადაწყვეტილებას რაც გაუგებრობას იწვევს თვით გამგეობის წევრებს შორის, დაადგინა: წინადადება მიეცეს პრეზიდიუმს წევრებს ყოველ დღიურათ საღამოობით მდივნებთან ერთად განიხილონ შემოსული საქმეები და მდივნებს გადასცენ შესასრულებლათ.

ამის შემდეგ დადგენილ იქნა: მიეწეროს სატარიფო პალატას, რომ მოისპოს ყოველ დარგში მუშებისათვის ნატურით მიცემა და ხელახლად გადასინჯოს პრეზიდიუმმა ახალი ტარიფი და მანდატი. მიეწეროს ბიუროს ხაზინადარს, რომ იანვრიდან მუშებს მიეცეს 40 პროცენტი.

დაევალოს გამგეობის მდივნებს ცენტრალურ გამგეობის მდივნებთან ერთად ჩამოიარონ ყველა ის წარმოებები, სადაც იანვრის მომატების ტარიფი გატარებული არ არის და მიიღონ ენერგიული ზომები მუშების ტარიფით დაკმაყოფილებისათვის.

გორში დაზარალებულთა დასახმარებლათ გაგზავნილ იქნას რკინის გზის ფურნის მუშებისაგან 5 ფუთი და 30 გირ. პური საორგანიზაციო ფურნის მუშებიდან 2 დღის ულუფის პური, ქალაქის ცენტრალური ფურნის მუშებისაგან 225 გირ. პური, საზოგადოება „კახეთის“ მუშა მოსამსახურეებიდან 3 ფ. და ათი გირ. პური, ზეთზე და საპონზე მომუშავეთა შორის შეკრებილ იქნა 29,000 მანეთი, რომელსაც მუშები, საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, კვირა დღე იმუშავებენ. მეფურნე მუშებისაგან შეკრებილ იქნა 10,000 მანეთი, რომლის თანხიდანაც მუშები იაფ ფასებში მიაწოდებენ პურს დაზარალებულთ.

ღვინის სარდაფებში მომუშავეებმა დაადგინეს ერთი დღის ნამუშევარის გარდა მოხდეს ნებაყოფლობითი შემოწირულება წევრებს შორის და თანხა გადაეცეს სათანადო ორგანიზაციას. ჩაიზე მომუშავეებმა გადასდვეს ერთი დღის ნამუშევარი ხელფასი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

დადგენილ იქნა კვირას, 7 მარტს, მოწვეულ იქნას საზოგადო კრება ყველა სექციების წევრების, სადაც ამხ. გ. ერაძე გააკეთებს მოხსენებას ეკონომიურ მდგომარეობაზე და მუშების პირველი საჭიროების საგნებით დაკმაყოფილებაზე.

შემდეგ ამორჩეულ იქნა, მუშაობის გასაშუქებლათ 5 კაცისაგან შემდგარი განმანათლებელი სექცია და დაევალა შეადგინოს მისი მომავალი მუშაობისათვის სავალდებულო წესდება და პროგრამა მომავალ კულტურულ მუშაობის შესახებ.

—

თფილისი. 3 მარტს ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში ამხ. ნოე რამიშვილმა წაიკითხა ლექცია: პროლეტარიატის დიქტატურა და სოციალური რევოლიუცია. ლექციას უმთავრესად დაესწრო ავლაბრის რაიონის საქ. ს. დ. მ. პ. წევრნი და მრავალი მოქალაქენი. ლექციის დასასრულ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ნ. რამიშვილისა მესამე რაიონის საქ. ს. დ. მ. პ. წევრნი და ავლაბრის ფართო დემოკრატია სავსებით იზიარებს საქართველოს მთავრობის სალსა და მიზან-შეწონილს მოქმედებას იზიარებს მას, რომ საქართველოს დემოკრატიის ნდობით აღჭურვილმა მთავრობის პოლიტიკურმა სიმწიფემ მიგვიყვანა დემოკრატიულ რესპუბლიკამდე, აგვაცილა სამოქალაქო ომს, და გადაგვარჩინა განადგურებას. კრებას ღრმადა სწამს, რომ ასეთი მიზანშეწონილი ხაზის აღებით მუშათა კლასი მიაღწევს შრომის სამეფოში სოციალიზმში. დასასრულ კრება სალამს უძღვნის მუშათა კლასის ინტერესების ერთგულ დამცველს ამხ. ნ. რამიშვილს. გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს სოციალიზმს!“

## პროვინცია

**ხმა სვანეთიდან.**

საქართველოს არც ერთი კუთხე არ არის კულტურულათ, ეკონომიურათ და სულიერათ დატანჯული ისე, როგორც სვანეთი. მიუხედავათ იმისა, რომ სვანეთის უბედურებაზე ბევრი ითქმულა სიტყვით,—საქმით მაინც არაფერი გაკეთებულა. როგორც ყველამ ვიცით, სვანეთი საქართველოს ისეთი კუთხეა, სადაც მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ზაფხულში (3—4 თვით) შეიძლება სიარული უგზოობის გამო და მაშინაც მხოლოდ ცხენით ან ფეხით. სვანეთში მიმავალ ცხენოსან მგზავრს ხშირათ უხდება ჩამოხტეს ცხენიდან, ცხენი გაირეკოს წინ და თვითონ კი კუდში მოკიდოს მას ხელი, რომ ცხენი არ გადაუვარდეს ციცაბო კლდეზე. ხალხი დიდის აღტაცებით შეხვდა დიდ რევოლიუციას. თვითმპყრობელობის დამარცხებაზე ხალხი დიდ იმედებს ამყარებდა ეს იმედები კიდევ უფრო განმტკიცა ხალხის გულში ჩვენი დემოკრ. რესპუბლიკის დამოუკიდებლათ გამოცხადების შემდეგ. სამწუხაროთ ჩვენდა, ეს იმედები იმედებათ რჩება. ყველა უბედურებებს ადამატებს სვანეთში ის რომ ხალხს პატრონი არა ჰყავს. ამ წლის იანვარში მთავრობას წარუდგა მოხსენებით სვანეთის კომისარი ბ-ნი ე. გაბლიანი. მან დაწვრილებით გააცნო მთავრობას სვანეთის მდგომარეობა, აუხსნა მას იქ მძვინვარე ანარქია და ადმინისტრაციის სრული უძლურება და სხვა. ამასთანავე სთხოვა მთავრობას დახმარება 30—40 მილიციონერის ან ჯარისკაცის სახით და სხვა. ამ საკითხზე, რამდენადაც ჩვენ ვიცით, შინაგან საქმ. სამინისტრომ რჩევისათვის გამოიწვია ლ. ცაგერიდან ადგილობრივი ერობის თავმჯდომარე და სხვანი, რომელთა რჩევის შემდეგ ბ ნ გაბლიანს უარი უთხრეს ხალხით დახმარებაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ერობის თავმჯდომარეს ბ-ნ. მითაიშვილს და სხვებს არ უნდათ სვანეთისათვის ცუდი რამ, არამედ კარგი სურთ, მაგრამ ე. გაბლიანი, როგორც სვანეთის ადგილობრივი მკვიდრი და მისი ავ-კარგის ზედმიწევნით მცოდნე, უფრო გარკვეულია სვანეთის საქმეებში და მან იცის კარგად რა არის დღეს საჭირო სვანეთისთვის საერთოდ.

მე აზრადაც არ მომდის ვინმეს დამცირება, ან ქება. მე მაინტერესებს მხოლოდ სვანეთის კეთილდღეობა და ამიტომ ვამბობ: ჯერ ზამთარია და სვანეთში წასვლა შეუძლებელია, მაგრამ თუ გაზაფხულზე, როცა ცოტათ თუ ბევრათ გზები გაიხსნება, მაშინ მთავრობამ სვანეთს მეტი ყურადღება არ მიაქცია,—სვანეთი ისე გაგვიოხრდება, და გაველანდება, რომ მის აწერასაც ვერ შევძლებთ.

მუშა სვანი

## წერ. რედაქციის მიმართ

ოზურგეთის მაზრის სოფ. ქვედა ბახვის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოთ, ამავე სამკითხველოს გამგეობის დავალებით სახალხო გვარდიის ცხენოსან დივიზიონის აფიცერთა და გვარდიელთა შორის წარსულ წლის შემოდგომაზე შევაგროვე 1785 მანეთი, რაც მაშინვე გადავეცი აღნიშნულ სამკითხველოს გამგეობას. მადლობას უცხადებს იმ პირთ, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ისეთ კულტურულ საქმისათვის, როგორიც არის სამკითხველო.

სახალხო გვარდიის ცხენოსან დივიზიონის გვარდიელი ვლ. თენიეიშვილი.


## განცხადებანი

ექიმი ლ. ა. ხარაბაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ზურაბზონიშვილის ქუჩა № 21 ავჭალის ალთიერტის ახლო.

ექიმი
**ნ. დ. [illegible]**
იღებს შინაგან, სქესით და ქალთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ხიდის ახლოს. ტელ. 14—13. 119—თ.)

ექიმი
**დამ. კოხტ. მე ვრიხაძე**
(ოზურგეთიდან)
იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასამართლოს ქუჩა № 52. (თ. 581)

ექიმი ა. ლიმანოვსკი
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ქებითვა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების: ჭლექის და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

**ექიმი ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—8 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოვ“-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

ექიმი
**ა. ბ. ვართანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606“ და 91 4 შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
**გ. გ. მეგრაბიანი**
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების აპერაციო—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს აქიმობს უფასოთ. (თ.636)

ექიმი
**ბ. ი. მირიანაშვილი**
შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—6 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრეევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (249)

ექიმი ლ. ბ. ჯაჯანიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებებით ავათმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 5—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (სავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—3662.)

[illegible]
ექიმი **აბაშიძე**
ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წვლების, ჭლექის აქიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაცილით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. ხიმშიაშვილის სახლში. (კუპ. 60)

კერძო სამკურნალო
**ა. დონხინისა**
(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 141 ტელეფ. 5—97
(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-თეატრ „აპოლოს“ გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები (თ. 218)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იმერელოვის ქუჩა № 11. მიხაკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი ნ. ბ. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. მისამართი: [illegible] ქუჩა № 23

## სახლი

მამული, აგარაკი, მიწის ნაკვეთი, ზვრები, ქარხნები და ყოველგვარი ქონება ვისაც სურვილი აქვს იყიდოს ან გაყიდოს, მიმართოს „ინტელიგენტთა წრეს“, რომელსაც საუცხოვოთ აქვს მოწყობილი კლიენტურა, მისამართი: თფილისი დავითის ქ. № 3. ს. ბინა № 2, ტელეფონი 2—28.

(892—1—1)


მუშრადულ-მბეჭდავი სტამბა ვ. რუხაძისა, ჯამაგვისი შესახვევი № 1.